23/05/2024წ.

336/24

საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისიის თავმჯდომარეს

ბატონ კახი ბექაურს

ბატონო კახი,

გვსურს გაგიზიაროთ ჩვენი პოზიცია კომისიის მიერ გამოქვეყნებულ „მობილური საკომუნიკაციო მომსახურების ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შესახებ“ საკონსულტაციო დოკუმენტზე.

დოკუმენტის თანახმად: „მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის მიერ შემოთავაზებული მობილური ვირტუალური ქსელის ოპერატორის (MVNO) ფუნქციონირებისთვის საჭირო სერვისების ტარიფები უნდა იყოს დანახარჯზე ორიენტირებული, დანახარჯების გაანგარიშების ე. წ. bottom-up მოდელზე დაყრდნობით“. - როგორც ჩვენთვის ცნობილია აღნიშნულ საკითხზე კომისიის ხედვა იყო, რომ MVNO-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისების ტარიფების მიმართ გამოყენებული იქნებოდა ე.წ. retail minus მიდგომა. გთხოვთ, განგვიმარტოთ რამ გამოიწვია აღიშნული მიდგომის ცვლილება.

იმის გათვალისწინებით, რომ 5G-ის ქსელის განვითარება დიდ კაპიტალურ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, ვთვლით, რომ MVNO-ს ფუნქციონირებისათვის საჭირო სერვისების ტარიფების მიმართ სწორედ retail minus მიდგომა უნდა იქნას გამოყენებული, რათა ქსელის მფლობელმა კომპანიამ უზრუნველყოს ე.წ. 5G-ის ეპოქაში 5G ქსელის ხარისხიანი დანერგვა და განვითარება,

აღნიშნული დოკუმენტი აგრეთვე ითვალისწინებს მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ოპერატორის უფლებას დაშვების მსურველს მოთხოვოს საბითუმო დაშვების მოწყობასთან დაკავშირებული ერთჯერადი გადასახადის გადახდა (მაგ. ანძებთან დაშვება აპარატურის განსათავსებლად (ერთჯერადი დაშვების საფასური)). მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ პირობას უნდა დაემატოს განმარტება თუ რა მიზანს ემსახურება აღნიშნული გადასახადი (რა ხარჯების ასანაზღაურებლადაა გამიზნული), ერთჯერადი გადასახადის ოდენობა ან გამოთვლის ფორმულა, რათა მნიშვნელოვანი ძალაუფლების მქონე ოპერატორის მხრიდან ფასის დადგენით ხელოვნურად არ შეიქმნას ბარიერი დაშვებისთვის.

შ-24-6/2452
23.05.24
2+1ფ

www.cellfie.ge

შპს სელფი მობაილ/ LLC Cellfie mobile
საფოსტო მისამართი: მექანიზაციის ქ. 1, სადარბაზო 1, 12ბ, თბილისი 0192, საქართველო / Postal address: 1, Mechanization str, block 1 12b., 0192 Tbilisi, Georgia

იურიდიული მისამართი: ბამბის რიგი 8, თბილისი 0105, საქართველო / 8, Bambis Rigi, 0105 Tbilisi, Georgia

აღნიშნული დოკუმენტის დანართი 1-ის 22-ე პუნქტის მე-6 ქვეპუნქტში, რომელიც ეხება თანალოკაციის ოფერტის პირობებს აღნიშნულია, რომ - თანალოკაციის ოფერტა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას - **შემოთავაზებული თანალოკაციის ობიექტების ტიპების ჩამონათვალის შესახებ.** მიგვაჩნია, რომ სიტყვა „**შემოთავაზებული**“ უნდა იქნას ამოღებული, ვინაიდან აღნიშნული ჩანაწერი მნიშვნელოვანი ძალაუფლების ოპერატორს აძლევს უფლებას თვითონ განსაზღვროს თანალოკაციის ობიექტების ტიპების ჩამონათვალი თუ სად აძლევს სხვა ოპერატორს აპარატურის განთავსების უფლებას.

შპს „სელფი მობაილ“

იურიდიული სამსახურის უფროსი

ირაკლი ესართია

Irakli Esartia

Digitally signed by Irakli Esartia
Date: 2024.05.23 16:22:40 +04'00'